მშპ დანახარჯების მიხედვით - I კვარტალი, 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #50 / 17.07.2015

2015 წლის I კვარტალში, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაზრდილია 8.3%-ით, ხოლო რეალური - 3.2%-ით.

აღნიშნულ პერიოდში გაზრდილია საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯები (7.9%) და მთლიანი კაპიტალის ფორმირება (32.1%). რაც შეეხება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობას, ექსპორტი შემცირებულია როგორც ლარში (-0.5%), ასევე დოლარში (-16.0%), ხოლო იმპორტი ლარში გაზრდილია (12.0%), ხოლო დოლარში შემცირებული (-5.4%). აღნიშნული განსხვავება გამოწვეულია, 2015 წლის I კვარტალში ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურებით (18.5%).



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

2015 წლის I კვარტალში, ნომინალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 8.3%-ია. აღნიშნულ პერიოდში, რეალური მშპ 3.2%-ით არის გაზრდილი 2014 წლის I კვარტლთან შედარებით, თუმცა მისი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (-4.0 პროცენტული პუნქტი) 2014 წლის I კვარტლის მაჩვენებელს (7.2%).

აღნიშნულ პერიოდში, ნომინალური მშპ-ს ზრდაში (8.3%) დიდი წილი აქვს მთლიანი კაპიტალის ფორმირებას (7.7 პროცენტული პუნქტი) და საბოლოო მოხმარებას (7.2 პროცენტული პუნქტი). 2015 წლის I კვარტალში, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შემცირება (ლარში) უარყოფითად აისახა მშპ-ს ზრდაზე (-0.2 პროცენტული პუნქტი) მაშინ, როცა 2014 წლის I კვარტალში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი მშპ-ს ზრდაში 7.4 პროცენტული პუნქტი იყო.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

2015 წლის I კვარტალში, საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯები (ნომინალურ გამოსახულებაში) 7.9%-ით არის გაზრდილი 2014 წლის I კვარტალთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში, სამომხმარებლო ფასების (ინფლაცია) 1.7%-იანი ზრდის (ინფლაცია) გათვალისწინებით, რეალური მოხმარება გაზრდილია 6.2%-ით. საბოლოო მოხმარების 78.8% შინამეურნეობებზე, 18.9% სახელმწიფო მართვის ორგანოებზე და 2.3% შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებზე (შმაკო) მოდის.

აღნიშნულ პერიოდში ხარჯები გაზრდილია საბოლოო მოხმარების ყველა კომპონენტზე: შინამეურნეობებზე - 5.8%-ით, სახელმწიფო მართვის ორგანოებზე - 17.5%-ით და შმაკო-ზე - 7.9%-ით.

2015 წლის I კვარტალში, 32.1%-ით არის გაზრდილი (ნომინალურ გამოსახულებაში) მთლიანი კაპიტალის ფორმირება, რაც უმეტესად გამოწვეულია ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების ზრდით (37.0%). გაზრდილია ასევე მარაგების ცვლილების მაჩვენებელიც (14.4%).





წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

2015 წლის I კვარტალში, მთლიანი ექსპორტის 54.7%-ს საქონლის, ხოლო 45.3%-ს მომსახურების ექსპორტი წარმოადგენს.

2015 წლის I კვარტალში, 2014 წლის I კვარტალთან შედარებით, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ჯამური მაჩვენებელი ლარში 0.5%-ით არის შემცირებული. აღნიშნულ პერიოდში, 12.3%-ით არის შემცირებული საქონლის, ხოლო 18.9%-ით არის გაზრდილი მომსახურების ექსპორტის მაჩვენებელი.

2015 წლის I კვარტალში, მთლიანი იმპორტის 81.4%-ს საქონლის, ხოლო 18.6%-ს მომსახურების იმპორტი წარმოადგენს.

აღნიშნულ პერიოდში საქონლისა და მომსახურების იმპორტის ჯამური მაჩვენებელი ლარში 12%-ით არის გაზრდილი. მათ შორის, გაზრდილია როგორც საქონლის (9.8%), ასევე მომსახურების იმპორტი (22.9%).

აღნიშნულ პერიოდში, საგარეო ვაჭრობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლარის გაუფასურებამ, კერძოდ 2015 წლის I კვარტალში ლარი 18.5% -ით გაუფასურდა 2014 წლის I კვარტალთან შედარებით.





წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

2015 წლის I კვარტალში, გადასახადებისა (დღგ, აქციზი, იმპორტი) და სუბსიდიების წილი ნომინალური მშპ-ს ფორმირებაში 15.9%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, გადასახადებიდან (დღგ, იმპორტი, აქციზი) შემოსავლები 10.9%-ით (102.5 მლნ.ლარი) არის გაზრდილი. მათ შორის, დღგ-დან შემოსავალი გაზრდილია 11.8%-ით, აქციზის გადასახადიდან 11.3%-ით, ხოლო იმპორტის გადასახადიდან შემოსავალი შემცირდა 22.6%-ით.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014*	II 2014*	III 2014*	IV 2014*	2014*	I 2015*
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5	3298.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1 008,3	3680.8	884.5
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8%	4.8%	3.2%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*	175.3
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202		4082				
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს ეროვნული ბანკი
UN ComTrade (http://comtrade.un.org/db/)

* წინასწარი